საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100 სენაკი, შ.რუსთაველის 243
243, Sh. Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: (0 413) 27 57 97 Fax.: (0413) 27 52 11
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.ge

№ 146

25 ივნისი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 22 ივნისს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/2695 მომართვაზე (სარეგისტრაციო №126) - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 მაისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი- „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 მაისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 106^1 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106^2 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106^5 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 25 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 მაისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა-ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 23 ივლისამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 2 ივლისამდე.
5. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 მაისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" გადაეცეს განსახილველად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისკომისიის თავმჯდომარეს – ზურაბი აფაქიძეს და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს – საკრებულოს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანებ აშეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ემუხლისმე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკისმუნიციპალიტეტის
საკრებულოსთავმჯდომარე: ზახაბერი რუსია